ხელშეკრულება 37

ბ.ური 24 ოქტომბერი 2011 წელი

ერთის მხრივ აუდიტორი ჟ. მაღალდაძე, შემდგომში „შემსრულებელი“ და მეორეს მხრივ სსიპ გორის №10 საჯარო სკოლა შემდგომში „დამკვეთი“ რომელიც მოქმედებს საკუთარი წესდების საფუძველზე, ხელმძღვანელის (დირექტორის) გელა ჯაფარიძის სახით დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მხარეთა ვალდებულებანი

1.1 „შემსრულებელი“ ატარებს აღნიშნული სკოლის გასაქირავებელი ფართის აუდიტორულ შეფასებას ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, ჯართისა და მზა პროდუქციის შეფასებას, საბაზო კონიუქტურის გათვალისწინებით.

1.2. „შემსრულებელი“ აუდიტორულ დასკვნას გადასცემს „დამკვეთს“ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.3.„დამკვეთი უზრუნველყოფს „შემსრულებელს“ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო დოკუმენტაციით და სხვა საბუღალტრო მონაცემებით.

2. სამუშაოთა ღირებულების და განსაზღვრის წესი

2.1. „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანგარიშსწორების წესი

3.1. „დამკვეთი“ სამუშაოთა საფასურს გადაიხდის უნაღდო ანგარიშსწორების წესით

3.2. თანხის ანაზღაურების დაგვიანების შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას დაერიცხდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 1%.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „შემსრულებელს“ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა არასწორი მონაცემებისათვის აუდიტორულ დასკვნაში, სამუშაოს დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში.

4.2. „დამკვეთი“ პასუხსაგებს ანაზღაურების პირობების დარღვევისათვის და შესრულებული სამუშაოს ვადის გადაცილებისათვის.

4.3. „დამკვეთს“ ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოდგენილი დოკუმენტის უტყუარობაზე.

5. ფორს-მაჟორული მდგომარეობა

5.1. ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში იგულისხმება ომები, ოკუპაცია, ეკონომიკურ სუბიექტთან დაკავშირებული ყველა პარტნიორის და წარმომადგენლის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებითი გადაადგილება, სამოქალაქო ომი, მასობრივი

აზოგადოებრივი უწესრიგობანი, მიწისძვრები ან სხვა ანომალიები, რომელთა დადგომის მომენტი ან მოქმედების პერიოდი მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება.

6. კონფიდენციალურობა

6.1. „შემსრულებლის მხრიდან „შემკვეთისადმი“ ამ ხელშეკრულებით მიწოდებული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ დამკვეთისათვის და არ შეიძლება გადეცეს ნაწილობრივ ან მთლიანად მესამე პირს ან გამოყენებულ იქნას რაიმე ფორმით, მესამე პირის მონაწილეობით „შემსრულებელისაგან“ წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებლის“ პასუხისმგებლობა ბათილია

7. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
ი/მ. ჟოზეფ მაღალდაძე	სსიპ გორის №10 საჯარო სკოლა
სს ლიბერთი ბანკის შ/ქ. რეგიონალური ფილიალი	სს. პროკრედიტ ბანკი
ს/კ. 59001038621	ს/კ. 218016741
ბ/კ 220101463	ბ/კ. 220101950
ა/ა GE80LB0112130010037000	ა/ა 340801011400014
ლიცენზია ზ №076	